



მეცნიერებათა

№ 13

№ 13

1883—1906 წ.

15 ივლისი.

შპალაში განივასუი.

წყალობითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოზ მე-II, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვ. და სხვა და სხვათა.

ვუცხადებთ ყველა ჩვენ ქეშპარტ ქვეშევრდომთ: ნებითა ჩვენითა მოწვეულ იყვნენ კანონ-მდებლობით აღწენებისთვის პირები, არჩეული მცხოვრებლებისაგან. მტკიცედ გაყარებდით რა იმედს ღვთის, წყალობაზე, გერწამდა რა ბრწყინვალე მომავალი ჩვენნი ხალხისა, ჩვენ ველოდით მოღვაწეთაგან სარგებლობას ქვეყნისათვის ხალხთა ცხოვრების ყოველ დარგში, ჩვენ აღწუნებდით რთული ცვლილებები, უბირველეს ადგილზე დაჰყავნეთ უმთავრესი ღვაწლი ხალხში სიბნელის გაფანტვა განათლებით და ხალხთა ქირ-ფარამის განკურნება მიწათმფლობელობის პირობათა შეცვლით. საუბედუროთ ჩვენი მოლოდინი განქარწყლდა, ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებმა კანონმდებლობით მუშაობის მაგივრათ, გადაუხვიეს გზას და მოკიდეს ხელი მათთვის არ მიკუთნებულ დარგს, შეუდგნენ რა გამოკვლევას მოქმედებათა ჩვენ მიერ არჩეულ და დაყენებულ მთავრობათა, გვიწვენებდნენ რა ძირითად კანონების ნაკლზე, რომელთა შეცვლა დამოკიდებულია ჩვენზე. ამით ისინი არ დაკმაყოფილდნენ: ხალხის წარმომადგენლებმა არა კანონიერათ მიმართეს ხალხს სათათბიროს სახელით. ასეთი არეუ-ღარევეთ შეცდომაში შეყვანილი გლახობა, აღარ ველოდა რა კანონიერათ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, მთელ რიგ გუბერნიებში მიმართა სხვის უძრავ-მძრავ ცარცვა-გლდეჯას ქონებისა, გლახობა არ ემორჩილება არსებულ კანონს და წინააღმდეგობას უწევს

კანონიერს მთავრობას, მაგრამ იცოდნენ ჩვენმა ქვეშევრდომებმა, რომ მხოლოდ სრულ წეს-წყობილების და მშვიდობიანობის დროს შესაძლებელია ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა, იცოდნენ ყველამ, რომ ჩვენ ავლავამათ ყოველგვარ თვითნებობას და არსებულ კანონების დარღვევას და მთელი სახელმწიფოებრივი ძალით ვაიძულებთ კანონის უარის მყოფელთ დემორჩილონ ჩვენ მეფურ ნებას. მოუწოდებთ ყველა კეთილ მოაზრეთ რუსეთის ხალხისას შეერთდნენ არსებულ კანონიერ უფლების მხარის დასაჭერად, რათა დამყარდეს მყუდროება და სიშვიდე რუსეთში და დაგვეხმაროს უფალი განსახორციელებლად უმთავრეს სამეფო შრომათა ჩვენთა, გაუმჯობესობაში გლახობა კეთილმდგომარეობისა, რისათვისაც ნება ჩვენი შეუდრეკელია და მხნელომთესველი რუსეთის, სხვისი მფლობელობის შეუბღალავათ, მიიღებს შეძლებას იქ, სადაც თვალსაჩინოდ საგრძნობელია უადგილობა, კანონიერ და პატიოსანი საშუალებით გააფართოვოს თავისი ადგილ მფლობელობა. სხვა წოდებათა წარმომადგენელი, მტკიცედ გერწამს, დაგვეხმარებთან თვისი მთელი ძალით ზემოდ მოყვანილი სურვილის განსახორციელებლათ, რის საბოლოო გადაწყვეტა მიეკუთვნება კანონდებულებითი წესით მერმისში შემდგარ სათათბიროს. ვამტკიცებთ მასთანავე, რომ ჩვენი შეურყეველი გადაწყვეტილება დარჩება ჩვენთვის კანონით და ერთდროულად ამ გადაწყვეტილებასთან ჩვენი უქაზით უმართებელეს სენატისადმი, ბოძებულ ცხარე ილის 1906 წელს, დაენიშნეთ ვადა ახალი სათათბიროს შესადგენად 20 თებერვალი 1907 წელი. შეურყეველი რწმენით აღტურვილი წყალობითა ღვთისათა და კეთილგონიერებითა რუსეთის ხალხისადმი, ჩვენ იმედი გვექნება, რომ მომავალში ახლად

(მწყემსი)

მრავალ ძალის ეკლ. კრებულს.

შედგენილი სახელმწიფო სათათბირო, მოიყვანს ისრულეში ჩვენთა კეთილსურვილითა და შეიტანს რუსეთის კანონდებულებაში, განახლებულ რუსეთის ქოთხ-ვნილებისა-დაგვარად, შესაფერ მუხლებს. რუსეთის ქეშმარიტრა შეიღწო, მეფე თქვენი მოგიწოდებთ თქვენ, როგორც კეთილი მამა თავის შვილებს, შეთანხმდეთ მასთან განახლების და ასაყვავებელ წმიდა სამშობლოს საქმეში! გვრწამს გამოჩნდებიან და დაიბადებიან მდიდარი აზრისანი და საქმენი მათი თავდავიწყებამდის მისული შრომით გაბრწყინდება დიდება ჩვენი საერთო ქვეყნის.

ბოძებულია პეტერგოფში 9 ივლის, დაბადებიდან ქრისტესა 1906 წელს და ჩვენი მეფობის მე-12 წელს.

ნამდვილზე საკუთარის მის უღიდებულესობის ხელით აწერია: **ნიკოლოზი.**

მართი უმთავრესი ნაკლუმვანება დღევანდელი პრესისა.

დღევანდელი პრესის ერთ უმთავრეს ნაკლულევანებას შეადგენს გატაცებულება. ერთი უბრალო შემთხვევა, რომელიც კაპიკად არ ღირს დიდ რამე მოვლენად მიანიათ. ერთი საღდათისაგან გამოთქმული აზრი მთელი დღივნიის აზრად მიანიათ. ბოლოს თვითონაც სტყუვდებიან და მკითხველებიც მოტყუებულნი რჩებიან. სწორეთ სამუხარო მოვლენაა. აი ფაქტიც.

გამოცხადდა სახელმწიფო სათათბიროს დაარსება. მორთო ერთი უშველებელი წერა პრესასმ. ჩვენ ვახლავართ ბიჭები, ვიშოვეთ რასაც ვეძებდითო. მთავრობა, რასაკვირველია, იძულებული შეიქმნა ხალხისთვის დაეთმო სხვა-და-სხვა უფლებებო, მეტი ღონე არ ჰქონდაო და სხვ...

გაიხსნა 27 აპრილს სახელმწიფო სათათბირო. შეიქმნა ერთი ალტაცებული დაღადება პრესასში. რუსულმა პრესამ სამზღვარს გადააქარბა. საინტერესოა შევიტყუთ როგორ მიეგება ქართული პრესა ან ამბავს?

საერთ გასტეებას აზრი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. თილისი 27 აპრილი 1906 წ.

პანკევა ჰარდამქცა.

„პეტერბურგში დღეს რუსეთის პირველი პარლამენტი გაიხსნება. ხალხის ხანგრძლივმა და თავგანწირულმა ბრძოლამ, რომელიც განსაკუთრებითი სიმწვევით სწარმოებს ორის უკანასკნელის წლის განმავლობაში, პრინციპიალურად უკვე გასტება აბსოლიუტიზმი და დღევანდელი სახელმწიფო სათათბირო ნიშანია ახალის ცხოვრების გამარჯვებისა დახასვებულს თვითმპყრობელობითს რეიშიუ. იქტომბრის გაფიცვის დიდებული გამარჯვება დღეს პირველად გამოიხატება იურიდიულად კანონიერ დაწესებულებაში: ხალხის საყოველთაო სურვილი, რომ თავის ცხოვრების ჩარხს იგი თითონ ატრიალებდეს თავის საკუთარის მისწრაფებისა და შეხედულების მიხედვით, დღეს—27 აპრილს, პირველად სწნდება კანონიერად და რეალურად რუსეთის შინაურ პოლიტიკის ასპარეზზე.“

შესრულდა დიდი ხნის საყოველთაო სახალხო მოთხოვნა, რომელმაც ესოდენი მსხვერპლი შეიწირა და რომლის ისტორიაც წითელის სისხლით მორწყულს გზას წარმოადგენს. დღევანდელი დღე რუსეთის რევოლიუციის პირველი სადღესასწაულო დღეა!..

სრულიად რუსეთის ბიუროკრატის ესმის, რომ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, ესმის, რომ სახელმწიფო სათათბიროს გახსნით მხოლოდ ახალი ფორმა ეძლევა ძველს ბრძოლას, ესმის ისიც, რომ ხალხი და სახელმწიფო სათათბირო ერთად უძლეველი ღონეა, რომელსაც ძალუძს სულერთიან აღვოს ბიუროკრატია დედა-მიწის პირიდან, და აი, ამის გამო სცდილობს ისიც, შეკრას ყოველივე გზა ხალხის და სათათბირო: დასაკავშირებლად.

ექვსი თვეა ბიუროკრატია შეუერებელი მუშაობს, რომ თავიდანვე რუსეთის პარლამენტი უბრალო ქარის ამოსაშვებ მანქანად გადაიქცეს, ხოლო არსებიალ-კი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ძველებურად მის თვითმპყრობელი თვითნებობაზე იყოს მივდებული. ბიუროკრატის მუშაობა დაგვირგვინდა ძირითად კანონების გამოქვეყნებით, რომელნიც გულში გადმოგვცეს დებამებით პეტერბურგიდან და

რომელნიც მართლა სულ ერთიან აქარწყლებენ სახალხო წარმომადგენლობის მნიშვნელობას. ასეთს პირობებში მთელი ჩვენი გულისყური დღეს იქითკენ არის მიქცეული, რომ სახელმწიფო სათათბირომ ქეშპირიტი წარმომადგენლობა გაუწიოს ხალხს და თავიდანვე პირდაპირ დააყენოს საკითხი სახალხო წარმომადგენლობისთვის იმ უფლებათა და მნიშვნელობის აღდგენის შესახებ, რომელმაც ახალის რუსეთის ურიცხვი მსხვერპლი და ენერგია შეაღია. დღევანდელს პირობებში სახელმწიფო სათათბირო ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელსაც სისხლის დაუღვრელად, მშვილობიანად შეუძლიან აღუდგინოს რუსეთის ტანჯულ ხალხს მისი ბუნებრივი უფლებები.“

სასულაერო ორგანოს „მწეკმსა“-ის ახლა სახელმწიფო სათათბიროზე.

27 პირილი შესანიშნავ დღეთ ჩათვლება ამიერიდგან. ამ დღეს შეიკრიბა რუსეთის ხალხის წარმომადგენლები ჰეტერბურღში და დაიწყეს ფიქრი და თათბირი სახელმწიფო საქმეებზე. ვეროპის სახელმწიფოები და მრავალნი ჩვენი სახელმწიფოების მცხოვრებნიც ფიქრობენ, რომ რუსეთის ხალხს მიენიჭა კონსტიტუცია და პარლამენტი, მაგრამ ესეთი მოაზრენი, ჩვენის აზრით, მოტყუებულნი, შემედარნი არიან. რუსეთის ხელმწიფემ მიანიჭა ხალხს კონსტიტუცია კი არა, არამედ სათათბირო. სათათბირო და კონსტიტუცია სულ სხვა-დასხვა რამეა. კონსტიტუცია როცა მიენიჭება ხალხს, ანუ უკეთ რომ ესთქვათ, როცა ხალხი დაიარსებს მას მინისტრებს პარლამენტის წევრები ირჩევენ და კანონებსაც თვითონ ხალხის წარმომადგენლები გამოსცემენ. ხელმწიფე მხოლოდ სისრულეში მოიყვანს პარლამენტის გადაწყვეტილებას. სახელმწიფო სათათბიროს არავითარი შედარება არა აქვს კონსტიტუციურ ხალხის მართვა-გამგეობასთან. იქ სადაც კონსტიტუცია არსებობს ხელმწიფის უფლება განსაზღვრულია, ჩვენში კი ხელმწიფის უფლება განსაზღვრელია და იგი თვითმყრობელია. ხელმწიფის ნება დაურთველად არავითარი კანონის გამოცემა არ შეიძლება. ძირითად კანონების მოშლასა და გაუქმებაზედაც ხალხის წარმომადგენლებს რამდენიც


სურსთ შეუძლიან ითათბირონ და იფიქრონ, მაგრამ ხელმწიფის ნება დაურთველად კრინტსაც ვერ დასძვრენ მათს მოშლასა და გაუქმებაზე-

ამ ორი წლის განმავლობაში ხალხის დიდს ბრძოლის შედეგად მიანჩნათ ჩვენ მწერლებს სახელმწიფო სათათბიროს დაარსება და დიდ ნაყოფსაც გამოეღია! სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს წევრებისაგან მოეღიან დიდ თავგამეტებულ ბრძოლას ხალხის ინტერესების დასაცველად და ზოგიერთები იმასაც კი მოეღიან, რომ მცირეს ხანში სათათბირო შეიქმნება ხალხისთვის ევროპის სახელმწიფოების პარლამენტად და კანონმდებელ დაწესებულებად, მაგრამ ესეთი აზრი რუსეთის ხალხისაგან არჩეულ წევრებზე მეტად გაზვიადებულია და მეტის მეტად გატაცებული უნდა იყოს კაცი ვინც ასე ფიქრობს სათათბიროს წევრებზე.. ათი წლის დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ საფრანგეთის ხალხმა, ისიც ჯარების დახმარებით, რესპუბლიკანური მმართველობა დაიარსა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა პოლიკონიკმა მოსპო რესპუბლიკა და თავის-თავი გამოაცხადა იმპერატორად!.. მერმე სად მოხდა ეს? საფრანგეთში!..»

ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ახალი „პარლამენტი“ დამფუძნებელ დაწესებულებად ქცეულიყო და სათათბიროს წევრები პარლამენტის დემუტატებად გამოცხადებულიყვნენ, 9 ივლისის მანიფესტით იგი სრულგებით დაითხოვეს.

ღია, ცული რამ არის გატაცებულება სერიოზულ საქმის გადაწყვეტის დროს... ნოემბრის და დეკემბრის თვეებში ყაზახებს და ზოგიერთ სალდათებს მუხიკით მიეგებენ ორ-სამ ადგილას და პურ-მარილი და ღვინოც მიართვენ. დაიმედებული იყვნენ, რომ მათგან ენება არავის შეხედებოდა. მაგრამ ამ ყაზახებმა და სალდათებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს დაბების და ქალაქების აკლება-აწოკების დროს. საქიროა, საქიროა შორს გამკერტელობა და გამჭირაობა. საფრანგეთის და ინგლისის ხალხის წაბაძვა ჩვენ არ გვარგია. ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამი სხვა არის და სხვანაირი წამლობაც არის საქირო.

სოფლის სუტქია.





რა პირობებში უხდება იმპერიის ექსპლესიის თვის ავტორიტეტულ უფლებათა აღდგენის მოთხოვნა?

(დასასრული*)

თუ ეკლესია დარჩება სახელმწიფოსთან განწყობილებებში, რასაკვირველია, სხვა პირობებით, ვინემ ეხლა არის, — არას დაჰკარავებს, და თუ ეს არ მოხერხდება და გაითვლება სახელმწიფოსაგან, არც ამით დაჰკარავებს რამეს. მართლაც, როგორ წარმოუდგენია ჩვენს ავტორს სახელმწიფოსაგან ეკლესიის გათიშვა? ნუ თუ მას ჰგონია, რომ ასეთ აქტის შემდეგ ის მოაწმენენი, რომელნიც შეადგენენ ქრისტეს ეკლესიას, სხვა პლანეტაზე იქნებიან გადასახლებულნი თვის მღვდელ-ეპისკოპოსებით, უანდავითან-სახარებებით? და ჩვენ სახელმწიფოში მართა ერთ-მუჟა რადიკალებს დარჩებთ ბუთი რე მოვლანი? — ეს მეტის-მეტი გულუბრყვილობაა, ასეთ გულუბრყვილობას კი ჩვენ ვერ დავსწამებთ მას; ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს მათი მხრით ცოტა რამ გაუგებრობაა. ხოლო ეს გაუგებრობა ნაყოფია სარწმუნოებრივ გრძობაზე ავტორის არა ბუნებრივი წარმოდგენისა. ავტორი გრძობს: „სარწმუნოებრივი გრძობა — ბუნებრივი ადამიანური გრძობაა და აი სწორედ ამ ბუნებრივ — ადამიანურ გრძობაზე ამაშენებელი და ამ გრძობით ჩაკიპული მონობა უნდა გახდეს მტკიცე და მიუღება ბურჟუა ბატონობის ვასაძლიერებლად... ეკლესიად გარდაქმნილი სარწმუნოებრივი გრძობა — თავისუფალ რწმენის უარყოფაა, მაგრამ რაკი ერთი როგორმე ეს გარდაქმნა აღსრულდა, შემდეგ ეკლესია ადამიანის გონებაში წარმოადგენს უმაღლეს სიმართლეს... ეკლესია მაშინ ისე ძლიერ ავტორიტეტად ხდება, რომელსაც ის შეუძლიან იფულოს ადამიანზე, როგორც კი მოისურვებს. ისტორია სასევა ეკლესიური სარწმუნოების ნიადაგზე ატეხილ დოგმატიებით, ვაცთ-მომძულეობით და სისასტიკით...“*)

ვეთანხმებით ავტორს, რომ სარწმუნოებრივი გრძობა — ბუნებრივი-ადამიანურია, მხოლოდ ასეთმა გრძობამ ჩვენ გრში მიიღო ზეციური ქრისტეს სარწმუნოების შინაარსი. — არ გვესმის — ეკლესიად გარდაქმნილი სარწმუნოებრივი გრძობა — თავისუფალ რწმენის უარყოფაა; — ეს რა სახით? აქაც გაუგებრობაა. ვფიქრობთ დავეთანხმებით, ბატონო, რომ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი გრძობაც ბუნებრივი-ადამიანურია, მხოლოდ ამ გრძობებს თვით ადამიანები აძლევენ ამა თუ იმ შინაარს და გარეგან გამოხატულებას. მაშ, რა დაშავა სარწმუნოებრივმა გრძობამ, რომელიც ჩვენთან ერთად თქვეც ბუნებრივად მიგანიათ? თუ არა და ერთ გრძობას რაც ევატიება, ის მეორეს სასტიკ დანაშაულად უნდა ჩეთვალოს? ეს ხომ ბარბაროსობა! საზოგადოდ ყოველივე გრძობა ადამიანისა და განსაკუთრებით სარწმუნოებრივი, როგორც ბუნებრივი შთამომავლობისა, ისე ბუნებრივად მიღების მიიღოს ესა თუ ის გარეგანი გამოხატულება, ორგანიზაცია, ამ შემთხვევაში მართლ-მადიდებელ ეკლესიის სახეში. მაშ, რაშია საქმე, თუ არ გაუგებრობაში და ზეპირად ლაპარაკში?!

მაგრამ რა საჭიროა ლაპარაკი სარწმუნოებრივ გრძობაზე, რომლის გამოხატველია ეკლესია, როდესაც „ეკლესია და მისი საკითხი სწორედ იმდენად განიტრეტებს თქვენ, რამდენადაც ეკლესია სოციალური მოვლენაა. ეკლესიის სოციალური მნიშვნელობა კი იმ გავლენით შემოიფარება, რომელსაც ადამიანის გონება და ზნეობა განიცდის არსებულის წეს-წყობილების დამყარებით ღვთაებრივ ავტორიტეტზე. თანამედროვე მონობა თავისუფლების ტანთსაცმელშია გახვეული... ღვთაებრივი ავტორიტეტი უძლიერესი იარაღია ბატონების ხელში კრიტიკის ასალავანად და აკი სარგებლობენ კიდევ ისინი და იარაღით...“ — ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველივე სისასადლე, ბოროტება, სისასტიკე, რომელიც დაუბუნდია დღეს ჩვენ სოციალურ ცხოვრებაში, ვითომ ეკლესიისაგან იყოს შექმნილი, ვითომ

ხანაშია, — თქვენ სარწმუნოებრივ-ეკლესიური გგონათ? თუ არა და ქართველთ „ვაცთ-მომძულეობა“ და „სისასტიკე“ — ვის გაუგონია, ვის მოსწრებია? მაგრამ არა, ავტორს ეტყობა, ნახტომი შეშლია, — სხვა ქვეყნების ეკლესიათა ცოდვები ჩვენსაზედაც ვაღმთაჰეს ნათესაობის ძალით და ან არაკულ მოსახრებით: „შენც მათი ჯიშის ხარო“...

*) იხ. „მწიგნოსი“ № 11—12, 1906 წ.

**) რომელ ეკლესიაზე ბრძანებთ, ბატონო, ავაგებ? — ჩვენ გვაქვს ივერიის ეკლესიაზე ბაისი და არა რომელიმე სხვაზე, და თუ ჩვენი ეკლესია გაქვთ სახეში და ასეთ ბრალს სდებთ მას, — ეს სასტიკი ცილის წამება! იქნება დიქრობით, რომ ის დამხდურ და არა მიმხდურ ხასიათის ომები, რომელთაც ეწოდება ჩვენი ვრი უსიავარ დროიდან და ქრისტიანულ



მათ ღვთაებრივი დასტური დასლო ეკლესიამ. რა უწოდოთ ამას?—soncto simplicitos.—არა, ძამიავ, ეკლესია თავის შინაარსით, არამც-თუ წარმოადგენს, —ვიტყვი თქვენი სიტყვებით,—ნამდვილად არის —უმაღლესი სიმართლე, უმაღლესი სათნოება, უმაღლესი წმინდანება, უმაღლესი სამსაჯულო!“
 თუ ამ იდეალურ მოთხოვნებებს ეკლესიის მოძღვრებისა ცოტად თუ ბევრად მორწმუნენი გაატარებენ თავის ცხოვრებაში, მაშინ ეს ქვეყანა სამოთხედ თუ არა, ჯოჯოხეთად მაინც არ გადაიქცევა; სულ ყველას ეცხოვრებოდა მასში, სულ ყველას ექნებოდა იქ ბინა და საკმარი ულუფა. და თუ ამას ვერ გხედავთ დღეს თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში, ეს რა ეკლესიის ბრალია?!—ეს მკაცრი ზამთრის ბრალია, რომელმაც დასუსტა ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ძიობა-ერთობ-თავისუფლება, ხოლო გაზაფხული თავის განმაცხოვრებელ ძალით, კვლავ გაუფრჩქნის მათ, უნდა კი ეცადნეთ, რომ ეს გაზაფხული იყოს უცვლელი, მუდმივი.—რა ეკლესიის ბრალია, თუ სხვა და სხვა ჯურის ხალხის უფლებათა უზურპატორები, ხშირად საეკლესიო წრიდანაც კი, თვის ჯალათობას ღვთაებრივ ავტორიტეტზე ამყარებდნენ?!. ენა უძლია, უშუბლის კანი ასეთ ადამიანებისა სქელია, რომ მათ შერცხვეთ თავიანთ საზიზღარ მოქმედებისა, ისიც ღვთის სახელით, თუ გინდ დამონაგებულ ეკლესიის მსახურთა ძალა-უნებურ ლოცვა-კურთხევათა წამიღვარებუთ?!.
 ისიც უნდა ვსთქვათ აქ, რომ ეკლესიის გავლენა ადამიანის გონება-ზენებაზე არსებულ წეს-წყობილების დამყარებით ღვთაებრივ ავტორიტეტზე, ისე ვიწროდ და უხეშად არ შემოიფარგლება, როგორც ეს დაუსახავს ავტორს. ყოველივე წეს-წყობილება ჩვენი ცხოვრებისა დამყარებულია ღვთაებრივ ავტორიტეტზე იმდენად, რამდენადაც ეს წეს-წყობილება ბუნებრივია, ადამიანის თავისუფალ ნების შექმნილია, მთელი ჯგუფის, მთელი ერის ხმის გამოძახილია. ასეთი საზოგადო ხმა, ასეთი საზოგადო ნება აძლევს ამა თუ იმ წეს-წყობილებას ღვთაებრივ ავტორიტეტს. ეს თვით ადამიანთ აქეთ შეგნებული, რასაც ნათლად გვიდასტურებს კაცობრიობისაგან შექმნილი აფორიზმი—„ხმა ერისა—ხმა ღვთისა“.
 და თუ დღეს ჩვენ ქვეყანაში ერის ხმა ჩაქმნდილია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ესეც აგრე უნდა და

ღმერთიც სანქციას აძლევს ასეთ ჯალათობას. ეს თვით ერის ბრალია, რომელმაც თავის წრიდან აირჩია მმართველნი, მიუშვა ისინი საკუთარ ნებაზე, ხოლო ესენი აღვირ ახსნილნი და ხალხისაგან საუკუნოებით განუკითხავნი, ხალხს ბატონად გაუხდენ, მაჯლაჯუნასავით თავს დააწვენ და ლამობენ მის ამოხრჩობას. მაგრამ, ამოდ, ხალხი ერთხელაც იქნება თავს დაასწვევს გაბატონებულ ოპოკუნებს და ეცდება შექმნას უკეთესი წეს-წყობილება ურთიერთობისა, რომელსაც დედა-ბოძად, ღერძად უნდა დაედოს ღვთაებრივი სიყვარული: „უკეთეს ვინმე ჰსთქვას ვითარამედ მიყვარს ღმერთი და ძმი თვისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყვარდეს ძმი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალუძს შეყვარებად? და ესე მცნება მივიღეთ, რათა, რომელსა უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ძმიცა თვისი... რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ (იოან. 4, 20-21). ასე გვმოდგორავს ქრისტიანეთ წმ. იოანე ღვთის მეტყველი. აი ამ უსაზღვრო სივრცეში ტრიალებს ჩვენი ეკლესიის გავლენა (თუ არ ტრიალებს უნდა ტრიალებდეს) არსებულ წეს-წყობილების დამყარებით ღვთაებრივ ავტორიტეტზე. საზოგადოებრივი გრძნობა და წეს-წყობილების იდეა ღვთაებრივია; როგორც ასეთი ეს იდეა არის გაუღწეობილი ღვთაებრივ სიყვარულით.
 —ხოლო ინვესტიციები, ომები, კაცია-ქამობა და სხვა ასეთი „სათნოებები“ არსებულ წეს-წყობილებისა,—ეკლესიის გარეშე მოვლენანია, თუმცა ბოროტი ადამიანები, როგორც ეკლესიის მსახურთაგანი, ისე ეკლესიის წევრნიც, ხშირად ეკლესიის სახელით ბოროტ-მოქმედებენ ხოლმე.
 ასეთი ვითარება საქმისა იმდენად გარკვეულად უნდა ჩათვალოს დღეს, რომ კვლავ ამაზე ბჭობა მეთია. ეხლა საჭიროა მხოლოდ—შეიცვალოს უკუღმართი ვითარება და სარწმუნოებრივ-ეკლესიური საკითხი თვის შესაფერ კალაპოტში იქმნეს ჩამჯღარი. როგორ და რა სახით უნდა მოხდეს ეს,—აი საკითხი, რომლის გარჩევას უნდა ვესწრაფოდეთ ყველანი, ვესწრაფოდეთ დაკვირვებით, გულ-დასმით, დასაბუთებულ მოსაზრებებზე დამყარებულნი და არა შაბლონიურ ერთი კალმის მოსმით. საჭიროა, რომ „ჩვენს ცხვირს იქიდაც საგნებს გხედავდეთ“ და არა ცრუ კმაყოფილებით საკუთარის ადლით ვზომოთ

სხვისი საჭიროებან და სულის კვეთებანი...
 მაგრამ დაღბრუნდეთ წერილის: წერილის ავტორი, როგორც ზემო დასახულ მსოფლიო მხედველობის მატარებელი, ოლიმპიურ სიმბოლიდგან დასჩაგვის ჩვენს ეკკლესიის ავტოკეფალიის საკითხს: „ეს საკითხი მართო ქართველ მღვდლებს და ეპისკოპოსებს არ აინტერესებს,—ამბობს იგი,—მღვდლებთან ერთად ავტოკეფალიის თხოულობენ ჩვენი ხალხის ის ელემენტები, რომელნიც შეადგენენ ერის ზედა სართულებს და თავის მაღალი მზრუნველგლობით დემოსის გაბედნიერებას აპირობენ. ისინი შურით, უკვე დაუფარავის შურით უცქერიან მეზობელ სომხებს“... „შური“ კი რა სათქმელია, ბატონო, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ადამიანმა თვალზე ხელი დაიფაროს და ცხვირ-წინ აღმართულ სინამდვილის დასაჩქამალავად რაღაც «ბურს» ამოეფაროს და მით მნიშვნელობა დაუკარგოს ისეთ აწ ანბანურ-ქემშარიტებზე აღიარებულ მოვლენას, როგორც არის ამა თუ იმ ერის თვით გამორაკვევის მოთხოვნილება, თუ გინდ სარწმუნოებრივ-საეკკლესიო სფერაშიაც. ხოლო „მეზობლების“ ასეთ ადამიანურ და ბუნებრივ მიდრეკილებებში, ჩვენ ერს და ინტელიგენციასაც, ან მათ „პროგრესიულ ელემენტებს“, ბევრი რამ თავისთვისაც საგულისხმიერო შეუძლიათ ჰოვონ, თუ გინდ მიმდინარე ცხოვრების მოთხოვნილებათა ადლოს აღებაში, რის ნიჭი წითელ ძაფეგით დართული აქვს სომხის ერის ისტორიას, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგეს... მაგრამ რა ვქნათ, თუ ასეთ ცხად სურათებს ჩვენ თვალს ვარიდებთ, „ზედა სართულებზე“ ვლაპარაკობთ, ხოლო თვით ასეთი მოლაპარაკენი უფრო მაღალ სართულისაკენ მიიწევიან და ასეთ სიმბოლეზე წამოსკუბულნი, ვეღარა. ეფლს ხედავენ...—ჩამობრძანდით, ბატონო, ძირს, მიწაზე ფეხი მაგრად დაადგით, დიდხანს ჰაერში ფრინვა თავბრულ დაგახვეცს და ისეთ სისწრაფით ჩამოქანებთ ძირს, რომ კვერცხებით დედა-მიწას დაასქდებით!.. მაშ, —ფრთხილად!..

თუ დედა-მიწაზე დასდგამთ ფეხს, თვალებს მოიფენვნეთ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე ჩაიხედავთ, იქ დაინახავთ, რომ კაცობრიობას უხსოვარ ღროიდან შეუქმნია საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიაც ჩაუქსოვია თვისი ჰისიხოლოგია, ჩაუქსოვია თვისი სარწმუნოებრივი გრძნობებიც და

ამ სახით ეს წეს-წყობილება „უკუთრებია“, ხოლო ამის „გამოკუთრებება“ იმ სახით, რა სახითაც ლამის ავტორი, ესე იგი სარწმუნოებრივ-დღეთაებრივ ავტორიტეტის განდევნა-აღმომფხვრით საზოგადოებრივ წეს-წყობილებათაგან, ავტორის და კომპანის არ ძალუძთ. ის კი შეიძლება, რომ „ოფიციალური“ მშრალი, უსულ-უფლო ფორმალური ნაოცყალბე მოშორდეს ყოველ-გვარ წეს-წყობილებას და ეს ასედაც უნდა მოხდეს...
 სწორედ ასეთი სახელი გვინდა მივსცეთ ჩვენ ეკკლესიის ავტოკეფალიის წეს-წყობილებას, გვინდა ის დაუახლოვოთ ხალხს, გვინდა თვით ხალხმა ჩაჰბეროს ეკკლესიურ წეს-წყობილებების ფორმებს თავისი გენიალური სული და ისე ამოძრავოს უღონიერესი ფაქტორი კაცობრიობის კულტურისა—სარწმუნოებრივი გრძნობა. შინაარსი ამ გრძნობისა, რომლის გამოხატულება ჩვენმა ერმა სცნა ქრისტეს მოძღვრებაში,—სპეტაკია, ზეციური და, რასაკვირველია, რომ ჩვენ ერს „აუცილებლად“, საჭიროა აუცილებლად, ვიტყვით ჩვენ, მიანჩია ეკკლესიის ჩარევა (ისე კი არა, როგორც ესხლა არის!) საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ აქტში. ასეთი „ჩარევა“ აუცილებელია არა იმიტომ, რომ ვითომც „ჯერ ხალხი ისე არ განვითარებულა, რომ ეკკლესიის გარეთად წესიერი ცხოვრება შესძლოს“,—ეკკლესიის გარეთად წესიერი ცხოვრების“ შეუძლებლობა მომდინარეობს იმ უბრალო ქემშარიტებისაგან, რომ ეკკლესიას შეადგენს თვით მორწმუნეთა თავისუფალი კავშირი და ეკკლესია, როგორც ასეთი თვის „გარეთად“, თვის ორგანიზაციის და გაგლენის გარეშე თვის წევრებს ორგანიულად ვერ დასტოვებს. ამ მოსახრებით,—ავტოკეფალისტთა“ ვითომ და არ გუმენტი—„ჯერ ხალხი ისე არ განვითარებულა, რომ ეკკლესიის გარეშე წესიერი ცხოვრება შესძლოს“,—დიდ ბუნებოვანი ცრუ მზრუნველობაა „დემოსზე“. ასეთი მზრუნველობა კი ბ. გომართელის რეცეპტებით გამოიფნა ჩვენს პრესაში...
 ამ რეცეპტების დროებითი მნიშვნელობა თითქოს სწამს „შრომის“ მეთაურსაც, მაგრამ ამავე დროს ის დაფეთებულია, ამ რეცეპტის ქვეშ მას რაღაც ასაფეთქებელი მასალა ტნევენბა—„იი სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავიო“,—ყვირის ის! ეს „ძაღლი“ თავი“ ავტორის აზრით ის გარემოებაა, რომ „ავტოკეფალისტთა“ ასეთ აზროვნებით ისარ-



გებლებზე მღვდელ-ეპისკოპოსები და ეს უკანასკნელნი აღნიშნულ „მოსაზრებას“ „ლეთებრივ საძირკველს ამოუწმენებნო“..

აქ დიდ გაკვირებაშია ჩავარდნილი „მეთაური“, არ იცის მან რით და როგორ დაახწიოს განსაცდელს თავი: „მეთაური“ წმინდა წყლის ფედერალისტია, მტკიცედ სდგას ეროვნულ ნიადაგზე, ისე მტკიცედ, რომ, როდესაც „ავტოკეფალისტები“ ეკითხებიან—როგორ გნებავთ, რომ ქართულ ეკლესიაში სწარმოებდეს წირვა-ლოცვა, ნათლობა, ქორწინება და სხვა სრულდებოდეს თქვენ საყდარში,—ისე, რომ ეს ღვთის მსახურება ხალხსთვის გასაგებს ენაზე იყოს, თუ გაუგებარზე, ისე, რომ მღვდლის მსახურება ხალხის ზნე-ჩვეულებას უწევდეს ანგარიშს, თუ ისე, რომ იგი ეროვნულ ხასიათის აღმოფხვრას ემსახურებოდეს“?.. როდესაც ასეთ კითხვებს ზედიზედ უსვამენ ავტორს ავტოკეფალისტები,—ის იძულებულია სთქვას—„ავტოკეფალის მომხრეებს ამ გვარად საკმაოდ(?) ხელსაყრელი ნიადაგი აქვთ ფეხქვეშ. საკმარისია მთვან წამოყენებული ალტერნატივა სამართლიანად მიიწიოთ, რომ თქვენ ერთგულ ავტოკეფალისტად გადამქციეთ“.—მართლაც, განაგრძობს ავტორი,—„თუ სხვა გზა არ არის და ორში ერთი უნდა ავირჩიოთ (ძალიან აირჩიეთ, თუ არჩევანზე მივიწვევან!), ან ხალხთან დაახლოვებული ეკლესია და ან მისგან განშორებული, უეჭველია ჩვენი სიმპატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისაკენ იქნება (რა დიდ-ბუნებოვანობაა!!!) მაგრამ ავტორს შეეშინდა—ეს რა წამომკლდაო,—„ლამპარმა“ მეც არ მომანათოს რენტჟენის აპპარატი, მეც „კლერკალ-ავტოკეფალისტად“ არ მომნათლოსო და სხვა-სხვებით დაგვყარა: „განა! განა! განა!—შვიდჯერ განა! ამ „განებით“ ის ბოდიშს ითხოვს—მპატიეთ რაც ძალა-უნებურად წამომკლდაო,—ერთი ნაბიჯი“ გაღავდგი ავტოკეფალისტებთანო და ჩამითრიეს თვის მორევშიო. ეს მარცხი იმიტომ მოსვლია ავტორს, რომ „რეალურ პრობლემს წამოაყენებია ალტერნატივა—ან სინოღოს ბატონობა, ან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა,—ამიტომ, მეტი ღონე არ არის, უკანასკნელი უნდა ვარჩიოთო“.—ასეთ ბოდიშებს, ვიტყვით ჩვენ, დაბალ დალიან „ოპორტიუნისმის“ სუნი უდის. მართლაც, ალტერნატივას რა ხელი აქვს იქ, სადაც ეკლესიად გარდაქმნილი სარწმუნოებრივი გრძნობა—თავისუ-

ფალ რწმენის უარყოფაა! ასეთ ალტერნატივას რა ალაგი უნდა ჰქონდეს მას შემდეგ, როდესაც თქვენ „განტყევა“ წაუკითხეთ ეკლესიას—„ეკლესია თავის-თავად, თავის ბუნებით, ხალხის თვით-მოქმედების უარ-მყოფელიაო!“ ასეთ ბარბაროსულ და-წესესულებას—დაუმატებთ ჩვენ,—ყოველივე „ალტერნატივის მიუხედავად, ადგილი არ უნდა ჰქონდეს კაცობრიობის ცხოვრებაში; ვერავითარი რეალური პირობები მისადმი პროგრესიულ პრესის მხარის დაქერას, თუ გინდ სიმპატიას, ვერ გაამართლებენ და თუ „შრომის“ მეთაურის, სიმპატია მიიქცავტოკეფალიისაკენ რჩება,—ეს, ვიმეორებთ, ოპორტიუნისმის ბრალია, რომელიც ამ ყაზად უშოშო რადიკალიზმის მანტიაშია გახვეული..

ამ მხრივ, მოსალოდნელი იყო, უფრო მტკიცე ნიადაგზე იქნებოდა დამყარებული ქართულ სოც.-დემოკრატიის ორგანო „ლამპარი“.

როგორც ვიცით, ამ პარტიის ერთ ძირითად მუხლს შეადგენს ეკლესიის სრული უარყოფა, ვინაიდან ეკლესია მას დასახული ჰყავს სოციალიზმის დაუძინებელ მტრად. მაგრამ ჩვენი სოციალ-დემოკრატია, როგორც სხვა ზოგიერთ საკითხებში, მაგალითად ეროვნულ-ავტონომია-ფედერაციისაში, ეკლესიის შესახებაც არღვევს ძირითად მუხლს და მზად არის ეს საკითხიც შეიტანოს თავის პროგრამაში. „ლამპარი“-ს ერთ-ერთ ნომერში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი განსაცვიფრებელი ადგილი: „სოც. დემოკრატია ეკლესიისაკენ ემსახურება, როდესაც იმას სჩავრავენ, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია პროლეტარიატის და სოციალისტურ პარტიის მტრია“. ეს ახალი ზარი ჩვენი სოც.-დემოკრატიის პარტიისა მკაცრად არის დაფასებული „შრომის“ მე-21 ნომერში, სადაც ეს პარტია ჯაზროვნობის ცირკში აღზრდილია და არის აღიარებული. ჩვენ ცირკაზობას ვერ დავსწამებთ პატივცემულ პარტიას, იმას კი მოვანხებებთ, რომ აქ მას, ცოტა არ იყოს, ფეხი დაუსხლტა; მაგრამ ეს არც მისი ბრალია, ეს „ტაქტიკის“ ბრალია ამ „კენჭობის“ ხანაში..

მართლაც და რა სათქმელია—დაწაფული ეკლესიისათვის თავის გამოდგმა, თუ თვით ეკლესია მწავრველია და, როგორც ასეთი, თვით პარტიამ არამც თუ უნდა დასჩავროს განთავისუფლების შემდეგ, არამედ უნდა ეცადოს ყოველი ღონის ძიებით

— ბოლო მოუღოს მას*); ხოლო სახელმწიფოსაგან ეკკლესიის გამოყოფა, ამ უკანასკნელს ბოლოს ვერ მოუღებს, როგორც ეს ზემოდაც გვქონდა ნათქვამი.

ერთი სიტყვით, „ლამპარაძე“ «ერთი ნაბიჯი» გადასდგა «ავტოკეფალისტეთა» და წამოყენებულ აღტერნატივის ძალით, ისიც მზად არის «დაჩაგრულს» მხარი მისცეს. პარტია ჯერ ეკკლესიას მხარს მისცემს, მერე თვითონ დასჩაგრავს. ასეთი «ტაქტიკა» პარტიისა არც ისეთი მოულოდნელი და ახალი ფორმაციისაა, როგორც ეს («შრომაშა») დასახული, თუ მოვიგონებთ სოც.-დემოკრატების სამეხას: «კაპიტალიზაცია, პროლეტარიაზაცია, სოციალიზაცია», ესე იგი—ჯერ კაპიტალის კონცენტრაციის ხელი უნდა შეუწყოს (რასაც პრაქტიკულად თვით პარტია არღვევს), ამ დაუსრულებელ კონცენტრაციის მსვლელობაში მშრომელ ხალხს პერანგი უნდა გაეხადოს და გამოგანდეს, ხოლო შემდეგ ამ ტყვე გამძარბამ პროლეტარიატმა ერთი შეტევით დასცეს კაპიტალიზმი, გაამეფოს სოციალიზმი და მით დამყარდეს ამ ქვეყნად ის სამოთხე, რომლის იმ ქვეყნიური არსებობა არ სწამს სოც.-დემოკრატის. გატყავებულ ხალხის ასეთ გზით,—რომელსაც ბოლო არ უჩანს,—შემოსვა-გაბედნიერება შეიძლება მოხდეს სასწაულით, თუ გინდ ისეთი სასწაულით, რომელიც აწერილი აქვს წინასწარმეტყველ იეზუკილის ერთ-ერთ თვის წინასწარმეტყველურ ჩვენებაში. წინასწარმეტყველმა ჩვენებაში ისილა თვალ გაღუწვდენელი მიიღორველი, მიცვალებულ ადამიანთა ხრიკი ძვლებით მოფენილი. ღმერთი ეკითხება იეზუკილს: ძეო კაცისაო! შეიძლება ეს ძვლები გაცოცხლდნენო? იეზუკილი განცვიფრებულია, პასუხი ვერ მოუხერხებია; ამ დროს ამ უმარავ ძვლებმა შორთეს ერთი რიხინ-რიხინი, ერთმანეთს შეუერთდნენ, ტყავ-ხორცით შეიმოსნენ და შემდეგ ადამიანებად გაცოცხლდნენ.—ეს მკვდრეთით აღდგომის მომასწავებელი სარწმუნოებრივი ჩვენებაა, მაგრამ სოც.-დემოკრატის ხომ სასწაულებია არა სწამს, ჩვენ კი, თუ არა სასწაული, ისე მათი მოძღვრების უტოპიურ მხარეებს, თუ გინდ ძირითად მუხლებს, ოდესმე პრაქტიკულად განხორციელება არ გვწამს. ეს კი ჩვენ მათდამი «მტრობას» როდი მოასწავებს, ეს მხოლოდ

ჩვენი რწმენაა, რომლის თავისუფლება უნდა უზრუნველ ყოფილ იქნას განურჩევლად ყველასათვის, როგორც სოც.-დემოკრატისათვის, ისე იმ მორწმუნეთათვისაც, რომელნიც ქრისტეს ეკკლესიას შეადგენენ, ხოლო ეს უკანასკნელი თვის წმიდა ქვეყნიურ-ზეციურ მისიას შესასრულებლად საკიროებს თვით-გამორკვევას, სრულ თავისუფლებას, სრულ დამოუკიდებლობას.—აი ამას ესწრაფვის დღეს ქართველი სამღვდლოება, აი ეს არის ავტოკეფალიის მოთხოვნის თუ აღდგენის შინაარსი და თუ «ქართველ პროგრესიულ ელემენტებს» ეს არ აკმაყოფილებს,—ფუჟი არის მათი ცალ-ყბით გამოსჩრლებაც. ხოლო რამდენად ფუჟი არის მათი ასეთი გამოსაჩრლება, იმდენად ცხადი უნდა იყოს ზოგიერთ ჩვენ რადიკალურ მამებისათვის ასეთ გამოსაჩრლებათა უშინაარსობა, უღონობა. ესლა მაინც, ვფიქრობთ, შეგნებული ექნებათ იმ ზოგიერთ ჩვენს პატიეცემულ თანამშრომელებს, რომელნიც გულუბრყვილოდ გაიძახოდნენ: «ახლა, ბატონო, ჩვენ ჩავალთ X-ში, შევალთ X-ს ორგანიზაციაში და ვსთხოვთ—შეგვიშვან ხალხში». ვაი ასეთ მდგომარეობას!—ჩვენ სხვებს უნდა ვსთხოვდეთ ხალხში შესვლის ნების მოცემას, თუ ისინი ჩვენ? საღ ბრძანდებოლით, მამანო, თქვენ? ვინ დაგიშალათ, მამანო, ხალხში შესვლა, ან ვის შეუძლია ასეთი დაშლა?!

სამღვდლოება, ჩვენის აზრით, მიუხედავად ყოველივე უკუღმართობისა, რომელიც მას ზურგზე აკვიდა ბიუროკრატიათ, მიუხედავად იმისა, რომ ის პარტიის გარეშე სდგას და კიდევაც უნდა იდგეს, ყველა აწ არსებულ პარტიებზე ახლოს სდგას ხალხთან.

მაშ, საკიროა ხალხში შეგნებულად იმოქმედოს სამღვდლოებამ ჩვენი ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად.

დ. ნ. თაღაძეძე.

*) აი ამაზეა ნათქვამი: „გინდ მგელს შეუბამივარ, გინდ მგლისღერ ძაღლსაო“.



შიო ჩიტაძის ცხედრის დაკრძალვა

8 ივლისს, დილის რვა საათიდანვე, დიდძალი ხალხი მიაწყდა კირონი ქუჩას. საიდანაც ცხედარი უნდა გაესვენებინათ. რადგან სახლში ტყეა აღარ იყო, ბერი ქუჩაში იდგა. წინა დღეს განსვენება გამოცხადებული იყო ნაშუადღევს ოთხ საათისთვის, მგრამ დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, დილის 10 საათისთვის გადაიტანეს. ამიტომ, როგორც შემდეგ გამოიკვია ბერი ვერ დაესწრნენ დასაფლავებას. დაესწრნენ ურნალ-გაზეთობისა და სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელინი. იყვნენ ჩამოსული დებუტატებიც.

დილის 10¹/₂ საათი იყო, როდესაც ცხედარი მოსწავლეებმა, ამხანაგებმა და სხვებმა სახლიდან გამოასვენეს. პროცესია კირონი ქუჩაზე დაიძრა, გაიარა მიხეილის ქუჩა. შემდეგ შეუხვია რუტოვის ქუჩაზე და სასაფლოსკენ გაემართა. იქნებოდა რამდენიმე ათასი კაცი. პროცესიის წინ ნაწილი გვირგვინებისა ხელით მიჰქონდათ. გვირგვინი ორმოცზე მეტი იყო. პროვინციებიდან ბევრმა ვერ მოასწრო გვირგვინების გამოცხვენა. ჩვენმა რედაქციამ სამი დებემა მიიღო, გვხოვდნენ გვირგვინების გაცემებას, მგრამ, რადგან დებეშები გვიან მოვიდა, ვეღარ მოვასწარით. ბერი საუცხოვო და მშვენიერი გვირგვინი იყო. ყველას ყურადღება მიიქცია ჰურის თავთავის საუცხოვო გვირგვინმა, რომელიც გლენს მიჰქონდა. ეს გვირგვინი ქართლიდან გამოგზავნათ გლენებს. ზედ ეწერა: „გლენის შვილს შიოს“.

გვირგვინები, სხვათა შორის, იყო: სოც.-ფედერალისტთა პარტიისაგან დიდი ცოცხლის ყვავილებით შემკული გვირგვინი შემდეგის წარწერით: „მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო შიო. შენს აღიქმას არ დაივიწყებთ“, ს.-ფედერალისტების მუშათა ჯგუფისაგან — „მეტრავლის ხელით მოკლულს თავისუფლებისათვის მებრძოლს“; ბათუმელ ს.-ფედერალისტებისაგან — „მებრძოლ ამხანაგს შიოს“; გორის ს.-ფედერალისტებისაგან — „უძვირფასეს ამხანაგს“; ს.-ფედერალისტთა ფოთის ჯგუფისაგან — დაუვიწყარ მებრძოლს თავისუფლებისათვის, ამხანაგს ს.-დემოკრატთა პარტიის პირველ რაიონისაგან — „თვითნებობის მსხვერპლს“; ზემო გომის ს.-დემოკრატებისაგან — „თავისუფლებისათვის მებრძოლს“; სოც.-რევოლიუციონერთა პარტიისაგან — „თვით-

ნებობის მსხვერპლს, თავისუფლებისათვის მებრძოლს“; ს.-რევოლიუციონერთა კავკ. მებრძოლ ორგანიზაციისაგან — დიდი დაფნის გვირგვინი: „ჯალათების ხელით უღროოდ და უდანაშაულოდ დაღუპულს“; ქართულ დემოკრატულ პარტიისაგან — დიდი, ცოცხალ ვარდებით შემკული გვირგვინი: „ძვირფას შიო ჩიტაძის სოცენს“; რედაქციებისაგან: „შრომისა“ და „ცნობისფურცლისა“ — დიდი ცოცხალ ყვავილების გვირგვინი: „დაუვიწყარ ძვირფას თანამშრომელს“; „სიმაართისა“ — „შიო ჩიტაძეს“; „მუშისა“ და „ნობათისა“ — დიდი გვირგვინი „პატრიოსან მოღვაწეს და მთავრობის ერთგულ ჯალათების უმანკო მსხვერპლს“; „ივერიისა“ — „ქართულ პრესის გულ შემეტკივარ მუშას“; „ვოზროცდენი, ი.სა“ — „უღროვოდ დაღუპულს, ძვირფასს ადამიანს, მოქალაქეს და თანამშრომელს“; „ჩერო. შორსკ. ვესტენ.სა“ — „ბარბაროსულ ძალმომრეობის მსხვერპლს“; ქართველ ქალებისაგან — „დაუვიწყარ გულწრფელ მოღვაწეს შიო ჩიტაძეს“; მოწაფეთა ქართველ დედებისაგან; ქართულ გიმნაზიის თანამშრომელ-ამხანაგებისაგან — „თავისუფლად სკოლისთვის თავგანწირულ მებრძოლს, ჩვენს ძვირფასს და დაუვიწყარ შიოს“; ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა და სტუდენტებისაგან: „უკანასკნელი საღამო, ძვირფასო და დაუვიწყარო შიო“; თანამგზავობელ ახალგაზღობისაგან — „ძვირფასს დაუვიწყარ მებრძოლს“; ტფ. მოსამსახურეთა კავშირისაგან — „რედაქციის მსხვერპლს დაუვიწყარ შიო ჩიტაძეს“; თამაშევის ქარავლის ნოქრებისაგან — „დაუვიწყარ და გულწრფელ მოღვაწეს“; წვრილ-წვრილ ვაქრების ბიუროისაგან — „თავისუფლებისათვის მებრძოლს და უდანაშაულო მსხვერპლს, ვერაგულად მოკლულ შიო ჩიტაძეს“; ქართველ დრამატულ საზოგადოებისაგან: ტფ. ფოსტაში მოსამსახურე ქართველთაგან — დიდი ყვავილებით შემკულ დაფნის გვირგვინი: „პატრიოსან მებრძოლს თავისუფლებისათვის“; სამეურნეო ბანკის მოსამსახურეთაგან — „სიკვდილით შობე შურის ძიება“; ტფ. სახაზინო პალატის და ხაზინის მოსამსახურეთაგან — დიდი დაფნის გვირგვინი: „და გზა უვლი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მიიქცე დარჩება“; სათ.-აზნაურთა ბანკის მოსამსახურეთაგან; „კახეთის“ ამხანაგობისაგან; გორის ინტელიგენციისაგან — დიდი გვირგვინი: „მსხვერპლი ძალმომრეობისა“; ამას გარდა რუსული დეკ-



სიც ჰქონდა წარწერილი; ხაშურის საზოგადოებრივ სკოლაში გვიჩვენებენ იყო, ერთი უზარმაზარი შენობის წარწერით: ძვირფას ჩვენს ამხანაგს თავისუფლებისათვის მებრძოლს!; ბაქოს ქართველთაგან; ქეთათურ ამხანაგებისაგან; ამხანაგებისაგან—, უადრესს ბარბაროსობის უდანაშაულო მსხვერპლს!; მ. ვ. ჯამბაქურიან-ორბელიანისაგან; ელენე და გიორგი ქორჭაქვილიძისაგან; ისე რაქველისაგან. გვიჩვენებენ უმრავლესობა წითელის და შავის ლენტეხით იყო.

თარმეტი სათი იქნებოდა, როდესაც პროცესის ახასიათებელი ავიდა. გზაზედ გალობდა ორი გუნდი მგალობელთა—ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა და თავისუფალი გუნდი. მთელ გზაზე პროცესის ცოტა მოშორებით მოსდევდა ყაზახთა და პოლიციელთა რაზმი.

ცხედარი შეასვენეს ტაძარში, სადაც გადახდილი იქნა წირვა და პანაშვიდი, ეკლესიაში მგრძობიარე სიტყვა წარმოსთქვა მღვ. ვ. კარბელაშვილმა. ცხედარი გარედ გამოასვენეს, კარების წინ დაასვენეს და იქ დიწყო სიტყვის წარმოთქმა. პირველად პარტიის მხრივ სიტყვა წარმოსთქვა და ძვირფას ცხედარს უკანასკნელი საღამო უძღვნა ა. მდივანმა, შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ვ. გუნიამ, სომეხმა მსწავლემგლმა ქალმა ვართანინამ (სომხის მასწავლებელთა მხრივ). 2.—შვილმა (ქართულ ს. ფედერალისტ გლეხების მხრივ), ს. დ. ქარცივაძემ, ყაზახიშვილმა, ს. დ. ვლ. მგელაძემ, ი. ხანდაძეშვილმა ლექსი წაითხა. ამით მგრძობიარე სიტყვებზე დამსწრეთა შორის განუწყვეტელი ქვითინი და ტირილი ისმოდა. საზოგადოდ, ყველა, დიდი და პატარა, მიმართულების განურჩევლად გულწრფელად ჰგლოვობდა ახალგაზრდა მუშაის, ასე ტრაგიკულად დაღუპულ პატიოსან ადამიანის დაკარგვას. ყველას გული მოუკლა მოხუც დედის და ახალგაზრდა ქვრივის უზომო მწუხარებამ...

სიტყვების დაწყებისას მოწმენდილი კაშკაშა ცა მოიღრუბლა და კოკის პირული წვიმა წამოუშინა მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც არ დაშლილა, ვიდრე განსვენებულის ცხედარი საფლავს არ მიიბარეს და უკანასკნელი მიწა არ მიასარეს.

მოგვიყვას დღეს ვალერიან გუნიას სიტყვა: „ამხანაგებო, ძმებო და დებო! არის ხოლმე ისეთი ღრმა სევდა და წყლული, ისეთი უკურნავი

ჭრილობა, მწუხარება, როდესაც ადამიანს გონება ვერ მოუკრებია, გული ვერ დაუშვიდებია, გრძობა ვერ დაუღაგებია და ენაც ველარ დაუძრავს... სწორედ ასეთ ყოფაში ვართ დღეს ყველა აქ შეკრებილნი: დიდი და პატარა, ქალი და კაცი! მიწეზი ამ დაწყლულებისა, საბამი ამ უძირო სევდა ვიგების არის ჩვენი შეურაცხყოფილი სისხლ-ხორცი, ჩვენი შელახული ნუგეშ-იმედი, ჩვენი ერთადერთი საცოდავი შოი.

მოგვიკლეს შოი! მოსწყვიტეს ჩვენს ისედაც ბედზე ცხოვრებას მძლავრი და ახალგაზდა შოი! მოგვიკლეს საუკეთესო მეგობარი და ქვეყნის მოამაგი. სიკვდილი ამ ქვეყნად აუცილებელია, მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც!.. ისეთი სიკვდილი, როგორც წილად ჰხვდა ჩვენს შიოს, არა ჩვეულებრივია, იგი გულ შეშარავი და სულის შემუთეველი თავისის ბარბაროსობით, თავის მტკურის სიმკაცრით, წრეს გადასულის უაზრობა-უგულურობით და გაღატაკების თავხედობით!..

მეტრე აო ღონეა, უნდა შეურიგდეთ ფაქტს, რომ აღარ გვაყავს შოი და არც როდისმე იქნება იგი ჩვენ შორის, მაგრამ იგივე აზრი და გონება ნებაუნებურად ამოგვაძახის სულის სიღრმედა, თურისთვის, რა ცოდო-დანაშაულობისთვის მოგვივლინეს ჩვენ ესოდენ დიდი და უკურნავი მწუხარება, აღშფოთებელი ადამიანობა გვეკითხება: რისთვის? რათა?!.. ოღონდაც, შიოს დიდი ცოდო მიუძღოდა ქვეყნის წინაშე—იგი იყო პირუთენელი და გულმართალი კაცი, მედგარი მებრძოლი, ნიქიერი მოღვაწე, შეუპოვარი რაინდი პატიოსანებისა და შეუღარებელი მსაჯული ქემშარტიებისა... განა ასეთი თვისებანი საქამო არ იყო შავ-მწელ ძალე-ბისათვის, რომ ჯოჯოხეთურის ვერაგობით ამხედრებულიყვნენ შიოს წინააღმდეგ?! და მართლაც ამხედრდნენ და გამოიღოშქრეს! დიდი ხანია სულთა-მხუთავი ავაზაკურად ჩასაფრებული ჰყავდა ჩვენს ახალგაზრდა არწივს და ავა კიდევ იჯერეს გული—განადგურეს და განაცარბტერეს სწავლა-განათლების ტაძარი და ამ ტაძრის საუკეთესო წინამძღოლიც!..

შერცხვენა და წყევლა-კრულვა ბარბაროსებს! შერცხვენა და წყევლა-კრულვა იმას, რომელიც უდანაშაულოთა სისხლში ღვებავს თავის ფარ-ხმალს და უმწყოთა ძარცვა გლეჯაში პოულობს ქურდ-



ბაკეცების სახელს. სირცხვილი მათ სამარადისოდ, წყველა-კრულვა მათ შვილი-შვილთა.

ეხლა-კი შენ მოგმართავ, ჩემო დაუფიწყარო ანხანავო და მეგობარო შოი! მოგმართავ უკანასკნელად საფლავის კარებთან, მაგრამ რაღა მოგმართო; მართალია, შენთვის დიდი დანაკლისი არ იქნება გაიგებ ჩემსას თუ არა, მაგრამ ვაგლახ ჩვენ, შენ გულდაწყვეტილ მეგობრებს, რომ კვლავ ვეღარ მოვისმენთ შენს ტუბილ ხმას, ვეღარ გავიგებთ შენს გრძნობა-გონებით აღსავსე სიტყვა-პასუხს, ვეღარ მოვისმენთ შენს ბრძნულს და მეგობრულს რჩევა-დარიგებას!

შენ კი აა, ჩვენა ვართ შესაბრაღისნი ჩემო ძვირფასო შოი! შენი ამაგი და დე-წლი, უხვად დაფქვეული შენს სამშობლოში, შენ უკვდავსა და მარად სასწენებელსა გყოფს ქართველთა გულში. ჩვენ კი... ჩვენ, ვინ უწყის, რა მოგველის! მაგრამ ამას კი დაბეჯითებითა გთხოვ, მეგობარო, ნუ ჩაიტან თან ციკს სამარეში იმ მწუხარე აზრს, ვითომც ჩვენ როღისმე დაგვიფიწყდეს ის სასურველი თავისუფლება, რომლის ტრფობა-სიყვარულისთვის არ დაგინდეს მოსისხლე მტრებმა. ნუ შეგინყრობს მწუხარება, შუბლს ნუ იკრავ; გაძღვეთ სიტყვას, აღთქმას გაძღვეთ, რომ არ უღალატოთ შენს წმინდა ანდერძს—ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ ქვეყნის საკეთილდღეოდ!..

მშვიდობით, პატიოსანო, დაუფიწყარო შოი!
«შრომა».

გაღო მოღვაწეთა საკრებულოში სახელმწიფო საბჭოს ცენტრის პარტიის თათბირი. კამათი იყო იმის შესახებ, რომ საჭიროა პარტიის წევრებს შეენახოთ შემაერთებელი ცენტრი კანიკულების დროსაო. სურვილი გამოითქვა, რომ კანიკულების დროს საკრებულოში იყოს ცნობების მისაღები ბიურო წევრთა საჭიროებისათვის, შემოდგომაზე კი საკრებულოში შეიძლება დაიწყოს პარტიის სხდომები მთავარი სესიებისთვის მოსამზადებლად. დღეს იმავე საკრებულოში შეიკრიბა 30-მდე წევრი სათათბიროს ერთად გვიდენისა და სტახოვიჩის მეთაურობით, რომელნიც აპირებენ მიმართონ ხალხს და მოუწოდონ, რომ ხალხი დამშვიდებითა და მოთმინებით მივიღოდას მომავალს სათათბიროს. სახელმწიფო საბჭოს ცენტრის ერთმა ჯგუფმა შიპოვისა და ტრუბეცკოს მეთაურობით გადასწყვიტა სათათბიროს ხელახლად მოწვევამდე დააარსოს მუდმივი კომიტეტი, რომელიც მოუწოდებს საზოგადო კრებებს ცხოვრების მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ საკითხებზე სასჯა-ბასად.—გზათა მინისტრის შეკითხვაზე, როგორ გუნებაზე არიან რუსეთის რკ. გზათა მოსამსახურე მუშებო, გზების უფროსებმა უპასუხეს, რომ ჯერ-ჯერობით ყველგან სიწყნარეა და არავითარი მიღრეკილება არ ეტყობა გაფიცვისკენაო.—10 ივლის სათათბიროს ყოფილი 200 წევრი გამოცხადდა სახელმწიფო კანცელარიაში და მიიღეს გზის ფული, მიუხედავად იმისა, რომ სათათბიროს კანცელარიას არავითარი ცნობები არ მიუწოდებია ჯერ.—დღეს დაიჭირეს „რეჩი“, „ნაშა ჟინ“-ი და „სტრანა“- სათათბიროს ყოფილ დეპუტატთა ხალხისადმი მიმართვის დაბეჭდვისათვის. გრადონაჩანოვიც განკარგულებით დაიხურა სახალხო თავისუფლების პარტიის ცენტრალური საკრებულო; დაიხურა აგრეთვე სოციალურ-დემოკრატიული საკრებულო.—მუშათა დეპუტატების საბჭო შესდგა ქარხნების კომიტეტთა ერთ ერთის ნაწილისაგან. გუშინდელ სხდომის დროს საბჭოს ცნობა მოუვიდა სათათბიროს ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან საბჭოსთან ერთად გვინდა ვიმუშაოთ, როგორ გადასწყვიტეს საქმე, ეს საილუმინოვებთა მოცული.—დაიხურა გაზეთი „სოვრემ“. ჟინ“-ი სამოსართლო პალატის მიერ განაჩენის გამოტანამდე.—სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამხედრო ორკესტრებს აეკრძალება დაუკრას ბაღებსა, ბულვარებსა და თეატრებში.

ახალი ამბები და შენიშვნები

* საერო დღესასწაულის წინა დღეს საფრანგეთში რამდენიმე დღეული მოხდა. მარტო პარაზის მიდამოებში და თვით შიგ პარიზში ცხრა დღეული მოხდა. პირველი მსხვერპლი დუელისა ან დღეს გახდა ერთი ჩვენურებიც, ქართველი ქორქია, რომელმაც ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი გაათავა. იგი სასიკვდილოდ დაუჭრია 13 ივლისს (ახ. სტ.) დილით ვერსალის ტყეში საფრანგეთის ჯარის ერთ აფიცერს. დუელის მიზეზს ვაზეთები არ გადმოგვეყვანა. და რა საჭიროა ან კი მიზეზის დასახელება? ვანა რამე საბუთიანი მიზეზი იქნება?..

* 11 ივლისს პეტერბურგში გაიმართა საზო-



* ამევე დღეს შეაჩერეს გაზეთი „სტრანა“, და „ნაშა ჟიჟნი“. დასრულდა მესაკუთრეთა კავშირის დამფუძნებელთა სხდომები, საბოლოო პრიგრამა მათი პირად საადგილმამულო საკუთრების დაცვა. — შეაჩერეს სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტამდე გაზეთები: „მისლი“, „ესო“, „გოლოს ტრიდა“, „კარტი“. დებუტატი* და „სევერნაი ზემლი“. დაიხუტა ყველა სარაიონო საკრებულოები კადეტებისა და მშრომელთა ჯგუფისა. კადეტთა როესტვენსკი საკრებულოსა და მშრომელთა ჯგუფის სადგო ში გაჩხრეკა მოახდინეს, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. — დაბეჭდეს „ნაშა ჟიჟნი“-ის სტამბა. რკ. გზებზე უკიდურესი ზომები მიიღეს საყოველთაო გაფიცვის ჩასაქრობად. განყოფილებათა გამგებნი მუდამ დღე მოახსენებენ ხოლმე თავიანთ უფროსებს, ვინ ავლდა დღეს სამსახურს. — ყველა უფროსებს ებრძანათ დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე „ოტპუსკიდან“. — 7 ივლისიდან ნევაზე კატრები და კრესიერები დგანან, რომელნიც სდენნიან მანიფესტანტებთან გემებს. — ამბობენ, ახალ კაბინეტში შოიწვევენ გუსკოვსა და სამარინსაო. — გუშინ საღამოთი გიმართა უკანასკნელი კერა სათათბიროს ყოფილ წევრების ადვტთა პარტიისაგან.

* მშვიდობიან განახლებას პარტიამ მოწოდება გამოუშვა ამომრჩეველთადმი. მოწოდებაზე ხელს აწერენ გეიდენი, ნ. ლოვი და სტახოვიჩი. მოწოდებაში ურჩევენ ხალხს, თქვენი ვალია ხელმწიფის ნებას დაემორჩილოთ და ღრმად უნდა იყენეთ დარწმუნებული, რომ თუ განაგრძეთ არკულთა ან ხელი შეუწყვეთ მას, ამით გამოიწვევთ მიავარობის შერეულ სასტიკ ზომებს სახელმწიფოს მთლიანობის მზინხების და მოქალაქეთა უშიშრობის უზრუნველყოფისათვის ნანახარს, რასაც მოჰყება აუარებელი მსხვერპლი, რუსების დაუძღურება, მისი საბოლოო განადგურება და დაღუპვა. მოწოდებაში ურჩევენ მოემზადნენ ახალ არქენებისთვის, დამშვიდებით დემორჩილონ მეფის კანონ-ზომიერ ნებას და განაგრძოთ მშვიდობიანი მუშაობა რუსეთის ხალხის თავისუფლების დასაცველად; მუშაობა რაიონებში სიმშვიდეა ყველგან. პუტილიოვის ქარხნის დიდ მიტინგზე უარყოფილ იქნა საყოველთაო გაფიცვა. სხვა მიტინგებსაც იგივე მომოდლენე პოლიტიკის ემწინვე. უკიდურესი პარტიების არჩი

ახლა საბრძოლველად გამოვლა მიზანს ვერ მიადევს. არ უტერნ მხარს აგრეთვე ეკონომიუ* გაფიცვისაც, — ბეტერბურგში ყველა გაფიცულთა რიცხვი 7000-მდეა. გაფიცვის ცენტრალურმა კამიტეტმა აცნობა ყველა ფაბრიკა-ქარხნებს, საჭიროა პოლიტიკურ გაფიცვაზე თავის შეკავებათ. ასეთივე ცნობა დაეგზავნა რკ. გზის კავშირთაც.

* 11 ივლისს ლონდონში, გაიხსნა სხდომები საპარლამენტაშროისო კონფერაციისა. მონაწილეობს 500 ზე მეტი დელეგატი. თავმჯდომარედ აირჩიეს ლორდი ურდელი, რომელმაც სიხარული აღნიშნა, რომ კონფერენციას ამდენი კაცი დაესწრო; მან განსაკუთრებული მხურვალე საღამო უძღვნა რუსეთის დელეგატებს, თავმჯდომარემ აღნიშნა, საყოველთაო მშვიდობიანობის საქმესასურველად დაბოლოვების გზას ადგია და მას სწავს, რომ დადგება ჟამი, როცა ომი არ ასტყდება, სანამ საერთაშორისო სამედიატორისაშართლს არ მიმართვენ კონფლიქტის გადასაწყვეტად. ბანდერმანიშვისალმა კონფერაციის დასტეკა, რომ მას მთვემ მიანდ პარტიისციეს კონფერაციის წევრებს და აცნობოს მათ, რომ ის დიდის ინტერესით აღენებს თვალს ამ კონფერენციას, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ექმნება, თუმცა-ღა ოფიციალური ხასიათი-კი არ აქვს. მთავრობა სულით და გულით უერთდება კონფერენციას. განსაკუთრებულის საღამომი მიეგება იგი რუსის დელეგატებს (მოწონების ხმა), საღამოს უძღენის რუსის ხელმწიფეს რომელმაც პირველმა იცისრა ჰაგის კონფერენციის მოწვევა მშვიდობიანობის განსამტკიცებლად. მართალია სათათბირო ამჟამად დათხოენილია, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მას ხელახლა მოიწვევენ. სიტყვა ასე დაასრულა: „სათათბირო მოკვდა — გაუმარჯლოა სათათბიროსაო“. ბანენრმანმა აღნიშნა სახელმწიფოთათვის იარაღის აყრის საჭიროება. ჩქარა დადგება ის დრო, როცა მთელის დედამარის დემოკრატია დარწმუნდება, რომ ხალხნი მილიტარიზმის მსხვერპლი არიან, რაც ძლიერ აფერხებს განვითარების წინმსვლელობას. კოვალენსკი ამბობს, რუსეთის ხალხს გულწრფელად სწავლიან მშვიდობიანობაო. სათათბიროს ეგონა, რომ იგი მოწოდებულთა თვიდან ააშოროს ხალხს წინანდელი რეჟიმი. სათათბიროს დელეგატებს იმეჯი ჰქონდათ, რომ მხურვალე მონაწილეობას მიიღებდნენ კონფერენციაში, მაგრამ მათს მისისას უეტრად შეეკვცვა ფრთებიო (გისმის ძახილი: „არა“, „არა“). კოვალენსკი განაგრძობს: შეურყეველია ქენი თანგრძნობა კონფერენციის საქმისადმიო.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამუნოებასა და გეოიღუ-ხნეობაზე.

ურწმუნობა, სიძულილი და სასოფარკვეთი-ლება.

სარწმუნოების საფუძველი არის თვით კაცის ბუნებაშია და მის გარეშეცა, ხოლო ურწმუნოების საფუძველი არსად არ არის. ამიტომ ურწმუნოება წარმოადგენს შესაზარ მოვლენას ადამიანის ბუნებაში. იგი არის ღამცრობა კაცის გონებისა და მიზალდ მისი ღირსებისა. ვისაც არა სწამს ღმერთი შემოქმედი, მზრუნველი, მაცხოვარი და განმანათლებელი; იგი ევრა სჯის კეთილად. ვისაც არა სწამს კაცის უქდაცება, მან არ იცის კაცის ბუნება. ცრუ სჯა და არ ცოდნა თავის-თავისა აუბატურებენ კაცსა. უკეთუ ყოველ ბიწიერებაში, მეტად თუ ნაღლებ, გამოიხატება უსინდისობა კაცისა, მაშ ურწმუნოება უნდა იყეს, და არის, უმაღლესი ხარისხი მის უსინდისობისა, არის დალი მის ღრმად გარყენილობისა. ურწმუნო კაცში სინდისი დასშულია, გონება დაბნეებულია, გული გაქვავებულია, ნება დაუძღურებულია, — გამჭრალნი არიან ის მნათობნი; რომელნიცა უწევებენ კაცთა ქეშმარიტებასა და კეთილსა. ადამიანის ბუნება ვერ დარჩება ცარიელი. ამიტომ, როდესაც ქეშმარიტება და კეთილი შორდებიან კაცსა, მაშინ მის ბუნებაში სახლდებიან სიცრუეც და ბოროტი, ის ბიწიერებანი, რომელნიც ემესაბამებოთ ემსაყისა და არა კაცის ბუნებასა. აქ არის მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ურწმუნოებით დაბნელებული კაცი, მეტადრე მწიგნობარი, თხზულებითა საშუალობით, სთესავს ყველგან სიცრუესა და ბოროტსა. ყველანი, გაურწველად სქესისა, ასაკისა და წოდებისა, კითხულობენ ამ თხზულებათა განუსჯელად და ხარბად სვამს იმ ურწმუნოების შხამსა, რომელიც იქ უხვად არის

ჩაღვრილი!.. ნუ თუ ეს არ არის საზარელი სენი ჩვენი დროებისა? ამ სენისაგან იხოცებიან ყმაწვილნი — კახუჯნი, ჯივლნი და მოხუცნიცა. — ურწმუნო კაცში არ არის სულიერი ცხოვრება, ამიტომ იგი არ აფასებს ხორციელ ცხოვრებასცა. ეს არის ნამდვილად მიზეზი თავის მკვლელობისა და კაცთა მკვლელობისა,

ადამიანო! მრთელი გონება და მღვიძარე სინიდისი შემოგლალდებენ შენ, რომ არ დაამცრო შენი მშვენიერი ბუნება ურწმუნოებითა და იმ საზარელი ბოროტითა, რომელიც აქედგან წარმოსდგება. შეისწავლე, იცან შენი ბუნება, მისი უმაღლესი მოთხოვნებანი, შედი უმაღლეს საილო-შეგნებაში, მაშინ იცნობ ღმერთსაცა და ირწმუნებ, მაშინ შეიგნებ სარწმუნოების სიტკობსა.

სიძულილი არის დამალი და მყრალი ნაყოფი ურწმუნოებისა. ურწმუნო კაცი ერიდება ყველასა, რაც ნამდვილად ღირსია სიყვარულისა. მას როგორც ღვთისაგან დაშორებულსა, სძულს სიწმიდე. სძულს მას თვით წმინდანი ჰაზრნი და სურვილნი, რომლებითაც კაცი უახოვდება ღმერთსა, როგორც უსწინავს სიწმიდესა. სძულს ურწმუნოსა მორწმუნე კაციცა, მისი ჰაზრები, მსჯელობანი, სარწმუნოება და კეთილმოქმედებანი. ამას ყოველსა დასციენის მოძღვე, უწოდებს უკან ჩამორჩენას, ხოლო თვის მოქმედებაში ხედავს წინმსვლელობას, რომელსაც უწოდებს განათლებას. ასეთია გონებით-ხეობითი მდგომარეობა განათლებულ — ურწმუნო ბატონისა. ასეთია მისი სულიერი გემოვნება. იგი მოქმედებს თავისუფლად. კარგია თუ ავი, სასარგებლოა თუ მავნებელი მისთვის ასეთი ყოფაქცევა, ეშვსაბამება თუ არა, ეს ყოველი მის კაცობრიობის ბუნებას, ამის მსჯელობაში იგი არ შედის, თუმცა, იმავე დროს, თავისთავს რაცხს გონიერ და განათლებულ არსებად, იმისთანა არსებად, რომელიც ვითომ შემოსილია ნათლითა და ემჭმარიტებითა. ასე განისვენებს ურწმუნო და მოძღვე ბატონი შეუგნებლობის სარეცელზე!.. ხოლო ჩვენ აღვიარებთ, რომ იმ ადამიანსა, რომელსაც არა სწამს თვისი შემოქმედი; თვისი უქცევება, რომელსაც სძულს სულიერი ცხოვრება, ანუ კეთილმსახურება, როგორც საფუძველი საუკუნო ნეტარებისა, ვერ მიეთვისება ის ღირსება, რომელსაც იგი ითვისებს; ვერ შეირაცხება იგი გონიერ და განათლებულ არსებად, ამიტომ, რომ იგი იმყოფ-



ფეხა სიცრუეში, ხოლო ეს სიცრუე არის ნაყოფი უგუნურებისა, არის სიბნელე და არა ნათელი.

არავისთვის არ არის დაფარული, რომ განათლებულთ სიმარაგლეს სძულს სასულიერო მწერლობა. რათა სძულთ მათ ეს მწერლობა, რათ ერიდებიან იგინი მას, რატომ არა კითხულობენ, რომ იცნან ქრისტიანული სარწმუნოებისა და ზნეობის ქეშმარიტებას და ამ გზით აღიმალონ თვით-შეგნება, რომელიც აყენებს ადამიანს სარწმუნოების და კეთილ-მსახურების გზაზე? თუ იმისთვის, რომ ეს მწერლობა ამხილებს მათ ურწმუნოებასა და ბიჭიერებას, ან თუ ემინიანთ მათ, რომ სასულიერო მწერლობის კითხვითა არ შეიქმნენ კეთილ-მსახურნი და მორწმუნონი, ასეთი საქციელი, ხომ, საკადრისი არ არის კაცისთვის, რომ მეტი არ ითქვას. აქე სჩანს გონების სიბნელე და არა ნათელი; ეს არის გონების მცონარობა, ძილი და არა მღვიმარება, მის დამცრობა და არა პატივი; ეს ხომ გულის უწმინდურობა არის და არა მისი სიწმინდე, ეს ხომ დალია მის გაქვავებისა; ეს ხომ ნების სისუსტეა და არა ძალა მისი, ეს ხომ ცხადი ბოროტებმარება არის თავისუფლობისა!.. ვინც იმყოფება ამგვარ გონებით და ზნეობით მდგომარეობაში, ვისაც სძულს კეთილი სწავლა, კეთილი რჩევა და დარიგება, მას არა აქვს ნება, რომ განათლებულ გვამად ირიცხებოდეს. ბნელი რჩება ბნელად, ნათელი ნათლად, ქეშმარიტება ქეშმარიტებად. ზედერი სიცრუვისა, როგორც სიბნელისა, არის საუკუნო სულიერი სიკვდილი, ხოლო ზედერი ქეშმარიტებისა, როგორც ნათლისა, არის საუკუნო სულიერი ნეტარება. ყოველმა ქრისტიანემ უნდა იცოდეს, რომ ემ ნეტარება მოიპოვება არა ხორციელისა, არამედ სულიერი გემოვნებითა, ხოლო ეს გემოვნება მოიპოვება ქრისტიანული სწავლითა და კეთილზნობითა. ამითი ჩვენ ვაშობთ არა იმასა, რომ ქრისტიანე მოშორდეს ხორციელ ცხოვრებასა. არა, ქრისტიანე უნდა ცხოვრებდეს ამ ქვეყანაზე ხორციელადაც და სულიერადაც; მას უნდა ჰქონდეს მეცნიერება მსოფლიოურიცა და ზეციერიცა, მხოლოდ ზეციერი უნდა მიაჩნდეს მას ქვეყნიერზე უმაღლესად და უმჯობესად, როგორც სული არის სხეულზედ უმჯობესი.

სასწარაკვეთილება არის სამწუნარო შედეგი ურწმუნოებისა და სძულულისა. იგი არის დაკარგვა იმედისა საღიხნებელისა და სანუგეზოს რაზვდემე. ადამიანს ახარებენ და ანუგეშებენ ქეშმარიტება და კეთილი. იგინი შეადგენენ ცხოვრების არსებასა. ხოლო სიცრუე და ბოროტი ჰკლავენ კაცსა. ურ-

წმუნო და მოძულე კაცში არ არის არც ქეშმარიტება, არც კეთილი, არ არიან სიცოცხლის საფუძველი: მას შინა ბუდობენ სიკვდილის მიზეზნი. კეთილსა შეჰყავს კაცი სულიერი ღვთაებრივ ცხოვრებაში, ხოლო ბოროტს შეჰყავს იგი ეშმაკურ ცხოვრებაში. ურწმუნო ამ ქეშმარიტებას მოკლე ბულია- მას სძულს ღმერთიცა, კაციცა და თვით სიცოცხლაცა, თითქო რომ იგი იმყოფება სულიერი ცხელეებაში, რომლის გამოც მას ელანდება არსების სრულიადი გაუქმება. გაუელვა ამ ცრუ-ბოროტ ჰაზრმა და იგი იკლავს თავსა. ამგვარად იგი შორდება ამ ქვეყანასა და ყოველსა მას, რაიცა იყო მისგან მოძულებული. ამ საზარელ წუთში თავის მკვლელი, როგორც ურწმუნო და გონებით დაბნეული, მოკლებულია იმ ქეშმარიტებასა, რომ იგი წარსდგება სულითა,—რომელსაც სხეულისგან განშორება ვერ გააუქმებს,—წარსდგება, შიშით და ძრწოლით, ღვთის საშინელ სამსჯავროს წინაშე, სადაც ვსოდენ შეუშოვარი არსება განვდებულ იქმნება პირისგან ღვთისა... მაშინ განიდგობს მისი სენიდილი, მაშინ წარმოადგება მას სინამდვილე იმ ქეშმარიტებათა, რომელთაც იგი შეურაცხყოფდა, მაგრამ გვიანდა იქნება... თავის მკვლელობა წარმოადგენს მხადლობასა და სულმოკლეობასა, და არა იმ გმირულ აზოვნებასა, რომელსაც შეადგენს თავის მეწიერლობა კეთილისა და ქეშმარიტებისათვის. ეს ბიჭიერება არის ფრიად წინააღმდეგი ადამიანის ბუნებისა, ვითარცა სულიერად უკვდავისა.—კაცი, გონიერი არსება, ასე ბოროტმოქმედებს, ასე არღვევს სიცოცხლის იმ წესსა, რომელიც დაარსებულია ცოველი შემოქმედისაგან! — მიზეზი ამისთანა უბედურებისა და საზოგადოდ ბიჭიერებისა მდგომარეობს იმაში, რომ კაცი მოკლებულია უმაღლეს თვით შეგნებასა, რომელიც გაიხსნება სულიერი ცხოვრებითა. მხოლოდ ეს ცხოვრება სცნობს კაცის სულსა და ღმერთსაცა. ვინც არის ამ ცხოვრებაში, მას ეზიზნება არამ-თუ თავის-მკვლელობა და კაცთამკვლელობა, არამედ საზოგადოდ ყოველი ბიჭიერება. აი აქ არის ქრისტიანული სარწმუნოების ღირსება: იგი არის სულიერი ცხოვრების მასწავლებელი, იგი აცხოველებს ადამიანს ხორციელად და სულიერადაც; უკეთუ ადამიანი გულით შეიყვარება, ხოლო გონებით და ნებით დაემორჩილება მის ზეციერ სწავლასა, ამიტომ შეძინება ამ სწავლისა არის პირველი და უმაღლესი მოვალეობა ყოველი ქეშმარიტი ქრისტიანისა.

ა. ბაღუკეა.



ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დაქანოვი დავით დამახშირისაგან შედგენილი და გამომცემული წიგნები:

თბილისში, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—
«მწყემსი»-ს რედაქციის ტიპოგრაფიაში.

1. სეკესტრის და ღვთის-მსახურების წიგნები.

- 1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უთაფრესი დღესასწაულების ისტორიული მოხრობით. ამ ლოცვანში ღრის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მღვდელთაში არიან ჩართულნი საქართვე. წმ. დანები მათი ისტორიული მოთხოვრებით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 30 კ. და უყდათ . . . 25 კ.
- 2. **წესი** სწულის ზიარებისა და კრეცილი პანაშვიდისა, ფასი . . . 10 კ.
- 3. **სოცხლთა** და გარდაცვალებულთა მოხსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20 —
- 4. **ძონდაკი** იოანე ოქროპირის წირვისა უყდათ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 კ.
- 5. **შემოკლებული ლოცვანი** ანბანით და თორმეტი საუფრო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 კ.

2. სასწავლო და სასწავლო-მეცნიერო წიგნები.

- 1. **დარიგება** საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამწიგნობრო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . 30 კ.
- 2. **იქვე** დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებს ნიშნებით ყლით ფასი . . . 55 კ.
- 3. **დაწყებითი გაცვიფრებელი საღმრთო სჯულის სწავლებაზე**, ფასი . . . 15 —
- 4. **ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება**—ფასი . . . 40 კ.

- 5. **მღვდელთათვის** საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯან-მრთელობის დაცვაზე.

- 1. **ახლა** კარადანი, მოკრე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დაართულია კავკასიის სამკურნალო ჩრეკს-საგან ყლით ფასი . . . 1 რ.
- 2. **დარიგება** მღვდელთა და დედათა თვალის მოვლაზე, ფასი . . . 10 —
- 3. **ჯანმრთელობა** და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

- 1. **მცხეთის ტაძარი** და წმ. ანა, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
- 2. **მელათის მონასტერი** და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . . 15 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
- 3. **შიო მღვდლის მონასტერი** და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
- 4. **ტაშვარ-მონ. დავით და კონსტანტინე და მონაწილეთა მონასტერი**—ფასი . . . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
- 5. **მარტის მონასტერი**, ფასი . . . 5 კ.
- 6. **მარტის მონასტერი** . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა წიგნებზე სწავლა დარიგებით.

- 1. **ღვთის-მშობლის** დაბადება, სურათით . . . 2 —
- 2. **თაძარ** მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2 —
- 3. **ამაღლება** პატიოსნისა და ცხველს-მოყვლისა ჯვარისა, სურათით . . . 2 —
- 4. **შობა** უფლისა . . . 2 კ.
- 5. **მირამა** უფლისა, სურათით,—ფასი . . . 2 —
- 6. **ხარამა** ყოველად წმიდა ღვთის-მშობლისა . . . 2 —
- 7. **ბზობა** სურათით—ფასი . . . 2 —
- 8. **აღდგომა** სურათით—ფასი . . . 2 —
- 9. **მიძინება** ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, . . . 2 —
- 10. **ხელთუქმელი ხატის** ისტორია . . . 2 კ.

**6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი სე-
ქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქარ-
თველოს მეფენი და დედოფალნი:**

- 1. წმ.და მოწამე რაფინი, სურათით, ფასი 5 კ.
- 2. წმ. ნინო ქართველთ განაწათლებელი 2—
- 3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი 5—
- 4. თამარ მეფე, სურათით 5—
- 5. გიორგი მთაწმინდელი 10—
- 6. იოანე ზედაზნელი 5—
- 7. შუშანიკი 3—
- 8. ქვეფან დედოფალი 2—
- 9. აჩილ და ლუარსაბი 5—

**7. რელიგიური და წყობრივი შინაწრის
წიგნები და საუბრები:**

- 1. წმიდანი ალფლექს-მთაბარნი: ბასილი
დიდი, ვრიგორი ღვთის-მშობელი და
იოანე მოქრამირი, სურათებით — ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი 3—
- 3. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული
სიუჟე აკაკის, ფასი 5—
- 4. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინოპო-
ლის მეთაურის წიგნი 5—
- 5. მამა მამიკონისა სმეფისა და მისი. საუბარის შესწავლა
იესო ქრისტესი 3—
- 6. შვილების მოვალეობა მშობელთადმი 3—
- 7. მშობლების მოვალეობა შვილთადმი 3—
- 8. ენ აჩიან ჩენი ცხოვრების მტეხნი და როგორ
უნდა ცხოვრობო მათ 3—
- 9. იუნჯებდით საუფჯესა ცათაშინა 3—
- 10. საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 11. — შრ-მაზე 3—
- 12. — შრ-მაზე 3—
- 13. სამეფარი სიკვდილი 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მეფე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. ისრაელი ი.ო მისა ზირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსებო 5—
- 5. მრავალ წამებული იობი 5 კ.

საგები და მსატყრობანი.

იმეკონებანი პეტრა იუდაეაში-მეტყენი ფიკარზე
სამაობს გოჯანი ფასი 5—10 კ. ხატები აბი-
მაცხოვერისა, ივერიის ღვთსმშობლისა, წმიდა გიორგისა,
ანდრია მოციქულისა, პირველწოდებულისა და
ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ენც დაბარებს ნა-
ღებს არა ნაკლებ ოცი ა, იმათ ჩვენს საქართველო-
ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდადებ-
ამსთან იმეკონება სქელ ქაღალზე ნახატი წმიდა
ნინოსი, საქართველოს განაწათლებლისა ვარაყის
6+7 გოჯანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპითა დაბადე-
ლი წმიდანი მთაწმინდელი დეით და კონსტან-
ტინე 6+5 გოჯანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და
ამისთანვე სახით წმ და ნინო ქართველთ განმარ-
ლებელსა და დავით აღმაშენებელსა ფ. შათოი 5 კ.

ენც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა
ნაკლებ ერთი თუშისისა, მას მანეთზე დაეთიზა 30
კ. ფ. ც. ორ კაპიკან წიგნაკებს დაბარებს არა ნაკლებ
ასი კალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პეტრა გულსაკიკი
ხატები ფერკალედილი ლათონისა, სახელდობრ: ნი-
ნოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენ-
ებლისა, თამარისა, ანდრია პირველწოდებულისა და
წმიდა გიორგისა, ფასი თითოთი 5 კ. ენც ასს და-
ბარებს ნაღ ფულზე, მას გაგზავნით დავითობ.
სამ მარ. ცსეთი იმეკონებნი ფერკალედილი, ფასი 40 კ.

- 11. მსატყრობანი სას. და საერთო მოღვაწეთა.
 - 1. შოთა რუსთაველი 25 კ.
 - 2. აკაკი წერეთელი 25 კ.
 - 3. თაათ მეფე 25 კ.

იმეკონება აგრეთვე შესაეალ-გასაეალი წიგნები
და ყოველგვარი მოწმ. პლანკები და ამოწერილობანი,

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიბარატურო განყოფილება: უმაღლესი მანი-
ფესტი.—ერთი უმთავრესი ნაკლებევენება დღევანდელი პრე-
სისა, სოფლის მეურნეობა.—რა პირობებში უნდა ივერიის ეკ-
კლესიას თვის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის მოთხოვა,
დეკ. 5. თალაქაძის.—შიო ჩიტაძის ცხედრის დასაფლავება.
—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სავალა და მცნეიკება ძრინთინობის სარწმუ-
ბობასა და კითხილ-წმეობაზე:** ურწმუნობა, სიძულელი
და სასოწარკვეთილება, ი. ბალუევის.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაზიძე,

სტამბა ჟურნალის „მეფის“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაზიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.